



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საბაკალავრო პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება

ლანა ტალახაძე

1960-იანი წლების ამერიკული როკ მუსიკა და მისი გავლენა იდენტობის ფორმირებაზე

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ ქარაია
ასოცირებული პროფესორი

თბილისი - 2025

ანოტაცია

1960-იანი წლების ამერიკული როკ მუსიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ფორმირებაში. ეს პერიოდი გამოირჩეოდა სოციალურ-პოლიტიკური კრიზისებით, ჰიპი მოძრაობის აღზევებით, სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლით და კონსერვატიული ღირებულებების წინააღმდეგ გაწეული წინააღმდეგობით. როკ მუსიკა იქცა არა მხოლოდ მუსიკალურ ჟანრად, არამედ სოციალური აქტივიზმის, კულტურული პროტესტისა და იდენტობის ახალი ფორმების შექმნის მთავარ პლატფორმად.

ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ ფუნქციონირებდა როკ მუსიკა იდენტობის კონსტრუქციის ინსტრუმენტად და რა გზავნილების საშუალებით აყალიბებდა ის ინდივიდუალურ და კოლექტიურ თვითგამორკვევას. კვლევის ფოკუსშია ბობ დილანის, ჯიმ მორისონის და ჯიმი ჰენდრიქსის შემოქმედება, რადგან მათი ტექსტები და მუსიკა მკაფიოდ ასახავს 1960-იანი წლების კულტურულ დინამიკას, თაობათა კონფლიქტს, რასობრივი და გენდერული იდენტობის გარდაქმნას და პოლიტიკური ცნობიერების ზრდას.

ნაშრომი ეყრდნობა თვისებრივ კვლევის მეთოდოლოგიას, კერძოდ – კონტენტ-ანალიზს და მუსიკალური ტექსტების სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტთან კავშირს. კვლევის მიზანია, გამოავლინოს, როგორ იქცა 1960-იანი წლების როკ მუსიკა იდენტობის პოლიტიკის ფორმირების მძლავრ მექანიზმად.

სარჩევი

შესავალი.....	4
თავი I: მუსიკა და იდენტობის ფორმირება – თეორიული ასპექტები	8
1.1. მუსიკის როლი სოციალურ და კულტურულ იდენტობაში.....	13
თავი II: 1960-იანი წლების როკ მუსიკის თემები, ჰიპები და იდენტობის კონსტრუქცია.....	18
2.1. იდენტობის ფორმირება როკ მუსიკაში	21
თავი III: არტისტული იდენტობა და მისი მუსიკალური გამოხატვა – ბობ დილანი, ჯიმ მორისონი და ჯიმი ჰენდრიქსი	27
დასკვნა	44
გამოყენებული ლიტერატურა.....	47
დანართი 1	50

შესავალი

1960-იანი წლები ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო სოციალური, კულტურული და პოლიტიკური გარდაქმნების ეპოქა, რომელმაც არსებითად შეცვალა დასავლური საზოგადოების იდენტობის აღქმა. ამ პერიოდში როკ მუსიკა უბრალო გასართობი ჟანრიდან გადაიქცა პროტესტის, თვითგამოხატვისა და სოციალური ცვლილებების პლატფორმად. ის არამხოლოდ ასახავდა, არამედ აქტიურად მონაწილეობდა იმ დროის უმნიშვნელოვანეს დისკუსიებში – იქნება ეს სამოქალაქო უფლებების მოძრაობა, ანტისაომარი პროტესტი, ფემინიზმის ახალი ტალღა თუ კონსერვატიული ღირებულებების წინააღმდეგ გაწეული წინააღმდეგობა.

ამ პროცესში განსაკუთრებული როლი შეასრულა ჰიპი მოძრაობამ, რომელმაც მუსიკა აქცია საკუთარი იდეოლოგიის მთავარ გამომსახველად. ჰიპების ფილოსოფია ეყრდნობოდა თავისუფლების, სიყვარულისა და ანტიმილიტარიზმის იდეებს, რომლებიც როკ მუსიკის ტექსტებსა და ჟღერადობაშიც აისახა. როკ მუსიკის გავლენა გასცდა სცენას და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პოლიტიკურ აქტივიზმსა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

ამ ათწლეულის როკ მუსიკის სიმბოლოდ იქცნენ ისეთი არტისტები, როგორებიც იყვნენ ბობ დილანი, ჯიმ მორისონი, ჯიმი ჰენდრიქსი და ჯენის ჯოპლინი. მათი მუსიკა არამხოლოდ ინდივიდუალური თვითგამოხატვის საშუალება იყო, არამედ სოციალური და კულტურული იდენტობის კონსტრუქციის ნაწილი. მათი ტექსტები ეხმიანებოდა იმდროინდელ საზოგადოებრივ ტენდენციებს, აყენებდა ეგზისტენციალურ კითხვებს და ქმნიდა ახალ წარმოდგენებს პიროვნულსა და კოლექტიურ იდენტობაზე.

1960-იანი წლების როკ მუსიკა დღემდე რჩება კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილად. მისი გავლენა გასცდა იმდროინდელ სოციალურ პროცესებს და დაედო საფუძვლად თანამედროვე მუსიკალურ და საზოგადოებრივ მოძრაობებს, რომლებიც კვლავ განაგრძობენ იმავე ღირებულებების გადამუშავებასა და გავრცელებას.

ნაშრომი **მიზნად** ისახავს მუსიკის, როგორც სოციალური და კულტურული იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტის, თეორიული ანალიზს და იმის კვლევას თუ რა თემების საშუალებით ცდილობს როკ მუსიკა იდენტობის საკითხების გაშუქებას.

დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომი შეასრულებს შემდეგ ძირითად **ამოცანებს**:

მუსიკისა და იდენტობის ურთიერთომიმართების თეორიული ასპექტების მიმოხილვა;

როკ მუსიკაში არსებული თემების იდენტიფიცირება და მისი იდენტობის ფორმირების პროცესში ჩართვის შესწავლა;

კვლევის მთავარ **ობიექტებს** წარმოადგენენ ბობ დილანი, ჯიმ მორისონი და ჯიმი ჰენდრიქსი, რადგან მათ ტექსტებში იკვეთება იდენტობის ფორმირების სხვადასხვა ასპექტი. მათი მუსიკა 1960-იანი წლების ამერიკული კულტურული და სოციალური ცვლილებების კონტექსტში არამხოლოდ ინდივიდუალური იდენტობის ძიების, არამედ კოლექტიური იდენტობის ფორმირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა. ბობ დილანი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ფოლკიდან როკ-მუსიკაში გადაინაცვლა და მისი ლირიკა ხშირად ეხებოდა სოციალური სამართლიანობის, პოლიტიკისა და პერსონალური თვითგამორკვევის თემებს. ჯიმ მორისონი, როგორც The Doors-ის ლიდერი, ცნობილია მისი ფილოსოფიური და ფსიქოდელიური ტექსტებით, რომლებიც არსებობის, თავისუფლებისა და ადამიანური ბუნების იდენტობის საკითხებს ააშკარავებენ. ჯიმი ჰენდრიქსი თავისი უნიკალური მუსიკალური სტილითა და იმიჯით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რასობრივი იდენტობის გადახედვაში, განსაკუთრებით როკ მუსიკაში აფროამერიკელი არტისტების ინტეგრაციის კუთხით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე **კვლევის კითხვა** ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

- როგორ ფუნქციონირებს მუსიკა, როგორც იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტი,

- რა თემების საშუალებით აყალიბებს როკ მუსიკა სოციალურ და კულტურულ იდენტობებს?

დაშვებები ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

მოსალოდნელია, რომ 1960-იანი წლების ამერიკულ როკ მუსიკაში იდენტობის ფორმირება მჭიდროდ უკავშირდება იმდროინდელ სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტს, განსაკუთრებით ჰიპი მოძრაობას, სამოქალაქო უფლებების მოძრაობას და ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო პროტესტებს.

სავარაუდოა, რომ მუსიკალური ტექსტები ასახავდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ გენდერული, რასობრივი და თაობათაშორისი იდენტობის გარდაქმნაში.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება თვისებრივი კონტენტ ანალიზი და კერძოდ შერჩეული ტექსტების კონტენტ ანალიზი, რადგან ის საშუალებას იძლევა ღრმად გავანალიზოთ ტექსტებში არსებული იდენტობის კონსტრუქციის მექანიზმები და გავიგოთ, როგორ გადმოსცემენ არტისტები სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გზავნილებს. თვისებრივი ანალიზი იძლევა სიმბოლოების, მეტაფორებისა და მუსიკალური ნარატივების ინტერპრეტაციის საშუალებას.

შერჩევა - შერჩევის სტრატეგია ეფუძნება კვლურ შერჩევას. თითო არტისტის სამი ტექსტი შერჩეულია იმ საფუძველზე, რომ ისინი ასახავენ პოლიტიკური, თაობათაშორისი და რასობრივი იდენტობის კონსტრუქციას. ბობ დილანი ფოკუსირებულია პოლიტიკურ პროტესტსა და სოციალური სამართლიანობის იდეებზე, ჯიმ მორისონის ტექსტები იკვლევს ეგზისტენციურ ძიებასა და ცნობიერების ტრანსფორმაციას, ხოლო ჯიმი ჰენდრიქსი რასობრივ იდენტობასა და მუსიკის მეშვეობით მისი აღქმის ცვლილებაზე. ეს შერჩევა საშუალებას იძლევა დავინახოთ, როგორ გამოიყენებოდა როკ მუსიკა სხვადასხვა ტიპის იდენტობის ჩამოსაყალიბებლად და გასაძლიერებლად.

ნაშრომის სტრუქტურა შემდეგნაირია - შედგება სამი თავისგან:

პირველი თავი მოიცავს მუსიკისა და იდენტობის ურთიერთმიმართების თეორიულ ანალიზს. აქ განიხილება, თუ როგორ ფუნქციონირებს მუსიკა, როგორც ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ფორმირების ინსტრუმენტები, და რა როლი აქვს მას სოციალურ და კულტურულ კონტექსტში.

მეორე თავი განიხილავს 1960-იანი წლების როკ მუსიკის თემატიკას, ჰიპ მოძრაობას და მათ გავლენას იდენტობის კონსტრუქციაზე. აქ ყურადღება გამახვილებულია როკ მუსიკის ლირიკებში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა პოლიტიკური პროტესტი, თავისუფლება, ავტონომია, რასობრივი და გენდერული იდენტობა, და იმაზე, თუ როგორ გამოხატავდა ჰიპი მოძრაობა ამ თემებს.

მესამე თავი ეძღვნება ბობ დილანის, ჯიმ მორისონის და ჯიმი ჰენდრიქსის შემოქმედების ანალიზს. აქ განხილულია მათი ტექსტები და მუსიკა იდენტობის ფორმირების კონტექსტში, გამოკვეთილია მათი მუსიკალური და ლირიკული მახასიათებლები და ნაჩვენებია, როგორ ხდებოდა მათი გავლენით სოციალური და კულტურული იდენტობების ჩამოყალიბება.

თავი I:

მუსიკა და იდენტობის ფორმირება – თეორიული ასპექტები

იდენტობა მრავალგანზომილებიანი კონცეპტია, რომელიც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ ასპექტებს (Hall, 1996). ის ყალიბდება კულტურული, სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის გავლენით და მუდმივად იცვლება დროის განმავლობაში. კულტურა, როგორც ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს იდენტობის ჩამოყალიბებაში, ხოლო მუსიკა ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და ძლიერი ინსტრუმენტია (DeNora, 2000).

მუსიკა პიროვნული თვითგამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე უნივერსალური ფორმაა (Frith, 1996). ის აძლევს ინდივიდებს შესაძლებლობას, გამოხატონ საკუთარი ემოციები, შეხედულებები და ცხოვრებისეული გამოცდილება. მუსიკის საშუალებით ადამიანები პოულობენ საკუთარ ხმას და ქმნიან უნიკალურ იდენტობას. ეს პროცესი შეიძლება გამოიხატოს როგორც მუსიკის შექმნის, ისე მისი მოსმენის გზით – როდესაც ადამიანი ირჩევს კონკრეტულ ჟანრს, ტექსტს ან არტისტს, ის გარკვეულწილად საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში მონაწილეობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსიკის როლი ახალგაზრდების იდენტობის

ფორმირების პროცესში. მოზარდობის პერიოდში, როდესაც პიროვნება ეძებს თავის ადგილს საზოგადოებაში, მუსიკა ხდება თვითგამორკვევის, თვითდამკვიდრებისა და ემოციური იდენტიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი საშუალება (DeNora, 2000).

მუსიკა არამხოლოდ ინდივიდუალური თვითგამოხატვის საშუალებაა, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოლექტიური იდენტობის ფორმირებასა და გაძლიერებაში. ის ქმნის კავშირს ადამიანებს შორის, აერთიანებს მათ საერთო ღირებულებების, ტრადიციებისა და გამოცდილებების გარშემო და ამყარებს ჯგუფურ კუთვნილებას (Turino, 2008). მუსიკა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეთნიკური, ნაციონალური და თაობათაშორისი იდენტობების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი. ის ხშირად ასოცირდება კონკრეტულ ეთნოსთან, ეროვნებასთან ან კულტურულ ტრადიციასთან. სხვადასხვა კულტურაში მუსიკა გამოიყენება როგორც ეროვნული ერთიანობის, მემკვიდრეობისა და იდენტობის შემანარჩუნებელი მექანიზმი (Biddle & Knights, 2007).

თითოეული თაობა საკუთარი მუსიკალური სტილითა და ჟანრებით განისაზღვრება, რომლებიც ასახავს ეპოქის სოციალურ რეალობასა და ღირებულებებს. 1960-იან წლებში როკ მუსიკა და ჰიპი მოძრაობა ახალგაზრდების თავისუფლებისა და პროტესტის სიმბოლოდ იქცა, ხოლო 1970-80-იან წლებში პანკმა და ჰევი მეტალმა კონსერვატიულ საზოგადოებრივ ნორმებს დაუპირისპირა ალტერნატიული იდენტობა (Hebdige, 1979). 1990-იანი წლების გრანჟმა და ჰიპ-ჰოპმა ასახა სოციალური მარგინალიზაცია და გაუცხოება (Rose, 1994), ხოლო 2000-იანი წლებიდან მუსიკის ციფრულმა ხელმისაწვდომობამ გაამწვავა კულტურული შერევა და ახალი იდენტობების ფორმირება (Hesmondhalgh, 2013). გლობალური მუსიკალური მოძრაობები, ფესტივალები და ციფრული ტექნოლოგიები დღეს მუსიკას კულტურულ ერთიანობის მნიშვნელოვან პლატფორმად აქცევს, რომელიც ეროვნულ თუ თაობათაშორის საზღვრებს სცდება (Bennett & Peterson, 2004). მუსიკა აყალიბებს კოლექტიურ მეხსიერებას, აძლიერებს ჯგუფურ კუთვნილებას და ახდენს კულტურული იდენტობის მუდმივ ტრანსფორმაციას (Frith, 1996).

იდენტობა არ არის სტატიკური და წინასწარ განსაზღვრული კონსტრუქცია – ის მუდმივად იცვლება და ტრანსფორმირდება კულტურული, სოციალური და ისტორიული კონტექსტის გავლენით. სტიუარტ ჰოლის კულტურული იდენტობის თეორია სწორედ ამას გვიჩვენებს. ჰოლის მიხედვით, იდენტობა (Hall, 1996) არ არის უცვლელი, არამედ იგი ყალიბდება დისკურსის, მოლაპარაკებისა და კოლექტიური გამოცდილების საფუძველზე.

1960-იანი წლების ამერიკაში, როდესაც როკ მუსიკა გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სოციალური და კულტურული პლატფორმა, იდენტობის კონსტრუქცია აქტიურ ცვლილებებს განიცდიდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ახალგაზრდობა უარყოფდა ტრადიციულ ღირებულებებს, ახალი იდეოლოგიებისა და ცხოვრების სტილის ძიებაში ჩაერთო და მუსიკა ამ პროცესის ნაწილიც გახდა და კატალიზატორიც (Street, 2012). ჰოლი კულტურულ იდენტობას ხედავს, როგორც პოზიციურ კონცეპტს, რომელიც დამოკიდებულია დროისა და სივრცის კონტექსტზე (Hall, 1996). ამ მიდგომით, 1960-იანი წლების როკ მუსიკა ახალი იდენტობების შექმნის პროცესში ჩართული მექანიზმია, რომელიც ეხმიანებოდა საზოგადოებრივ ცვლილებებს და თავის მხრივ, მათ აყალიბებდა (Negus, 1996).

ამ ეპოქის როკ მუსიკოსები არა მხოლოდ ასახავდნენ იდენტობის ფორმირების პროცესს, არამედ აქტიურად მონაწილეობდნენ მის შექმნაში (Frith, 1996). მაგალითად, ბობ დილანის ტექსტებში იდენტობა განიხილება სოციალური პროტესტისა და პოლიტიკური ცნობიერების ჭრილში, ხოლო ჯიმ მორისონის ფილოსოფიური ლირიკა და ფსიქოდელიური იმიჯი ქმნიდა იდენტობის სრულიად ახალ ტიპს, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა ტრადიციულ ნორმებსა და აღქმებს (Hopkins, 2011). ჯიმი ჰენდრიქსი, როგორც აფროამერიკელი არტისტი როკ სცენაზე, არღვევდა რასობრივ ბარიერებს, რაც მუსიკაში რასობრივი იდენტობის აღქმას ცვლიდა.

ჰოლის თეორიის თანახმად, იდენტობა იქმნება განსხვავებებისა და დაპირისპირებების ფონზე – ადამიანები განსაზღვრავენ საკუთარ იდენტობას იმის მიხედვით, თუ ვისგან განსხვავდებიან (Hall, 1996). 1960-იანი წლების როკ

მუსიკოსები და მათი მსმენელები ხშირად სწორედ კონსერვატიულ საზოგადოებას, ტრადიციულ პოლიტიკურ ნორმებსა და მასობრივ კულტურას უპირისპირდებოდნენ (Eyerman & Jamison, 1998). მუსიკა გახდა განსხვავებული იდენტობების გაერთიანების საშუალება – ჰიპები, ანტისაომარი აქტივისტები, სამოქალაქო უფლებების მხარდამჭერები და გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლები სწორედ როკ მუსიკაში ხედავდნენ თავიანთი შეხედულებების გამოხატვის გზას.

სტიუარტ ჰოლის კულტურული იდენტობის თეორია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იდენტობა არ არის ერთი კონკრეტული სიდრმისეული "ჭეშმარიტება", არამედ ის არის პროცესის ნაწილი, რომელიც ცვალებადია და დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე. ამ კუთხით, 1960-იანი წლების როკ მუსიკა არ ყოფილა უბრალოდ მუსიკალური მიმდინარეობა – ის იყო იდენტობის ცვლილებების არენა, სადაც მუსიკოსები, მათი ტექსტები და მსმენელები ახალი კულტურული ფორმების შექმნაში იღებდნენ მონაწილეობას. ამრიგად, ჰოლის თეორიის კონტექსტში, 1960-იანი წლების როკ მუსიკა შეიძლება განვიხილოთ იდენტობის ცვალებადობის, წინააღმდეგობებისა და ახლებური თვითგამოხატვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კულტურულ მექანიზმად, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის აქტუალობას (Hall, 1996).

მუსიკა ყოველთვის იყო ძლიერი იდეოლოგიური ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ ცნობიერებაზე, გაამყაროს დომინანტური იდეოლოგიები ან, პირიქით, დაუპირისპირდეს მათ (Street, 2012; Eyerman & Jamison, 1998). ტოტალიტარულ რეჟიმებში ის ხშირად გამოიყენებოდა პროპაგანდის საშუალებად, ხოლო დემოკრატიულ საზოგადოებებში – პროტესტისა და წინააღმდეგობის გამოხატვის ინსტრუმენტად. 1960-იან წლებში, როდესაც მსოფლიო სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს განიცდიდა, როკ მუსიკა აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში, გარდაიქმნა პოლიტიკური აქტივიზმის პლატფორმად და საზოგადოების კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ფაქტორად (Eyerman & Jamison, 1998; Marcus, 1975).

ამ პერიოდის მუსიკოსები ღიად გამოდიოდნენ ისეთი თემების წინააღმდეგ, როგორც იყო ვიეტნამის ომი, რასობრივი დისკრიმინაცია და სოციალური ჩაგვრა. ბობ დილანის "Masters of War", ჯიმი ჰენდრიქსის "Machine Gun", The Doors-ის "The Unknown Soldier" და სხვა პროტესტული სიმღერები ომის წინააღმდეგობის სიმბოლოებად იქცა (Street, 2012; Frith, 1988). მუსიკას არა მხოლოდ პაციფისტური გზავნილი ჰქონდა, არამედ ის პირდაპირ მიუთითებდა იმდროინდელი მთავრობის პოლიტიკის პრობლემებზე, რაც მასობრივი მობილიზაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა.

როც მუსიკას ასევე დიდი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო უფლებების მოძრაობაში. ჯიმი ჰენდრიქსის მიერ აშშ-ის ჰიმნის ("Star-Spangled Banner") ალტერნატიული შესრულება ვუდსტოკის ფესტივალზე რასობრივი უთანასწორობისა და ომის სასტიკი რეალობის წინააღმდეგ გაპროტესტების ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ სიმბოლოდ იქცა. ჯენის ჯოპლინის შემოქმედება კი ქალთა ემანსიპაციისა და გენდერული სტერეოტიპების დანგრევის ნაწილად იქცა. როც მუსიკის ამ პოლიტიკურმა ბუნებამ შექმნა ახალი პროტესტული პლატფორმა, რომელმაც გზა გაუკაფა შემდეგი თაობის მუსიკალურ მოძრაობებს. პანკმა 1970-იან წლებში დაიწყო კაპიტალიზმისა და პოლიტიკურ ელიტებთან დაპირისპირება, ჰიპ-ჰოპმა 1980-90-იან წლებში გაახმოვანა რასობრივი ჩაგვრისა და სოციალური უთანასწორობის საკითხები, ხოლო თანამედროვე მუსიკა კვლავ განაგრძობს პოლიტიკური გზავნილების ტრანსფორმაციას. მუსიკა არა მხოლოდ ასახავს ისტორიულ მოვლენებს, არამედ ახდენს მათი აღქმის ფორმირებას, ქმნის კულტურულ მეხსიერებას და აყალიბებს საზოგადოებრივ შეხედულებებს. მისი უნარი, ემოციურად მოიცვას მსმენელი და პირდაპირი მესიჯი გადასცეს მათ, მას პოლიტიკურ იარაღად აქცევს. 1960-იანი წლების როც მუსიკა ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია – ის იყო არა მხოლოდ ეპოქის არეკლვა, არამედ მისი აქტიური მონაწილე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების პოლიტიკურ ცნობიერებაზე და კულტურულ იდენტობებზე.

1.1. მუსიკის როლი სოციალურ და კულტურულ იდენტობაში

მუსიკა ყოველთვის იყო კულტურული თვითგამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფორმა, რომელიც არა მხოლოდ ასახავს საზოგადოებრივ დინამიკას, არამედ თვითონვე მონაწილეობს მის ჩამოყალიბებაში. მუსიკა იდენტობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ დონეზე, რადგან ის ადამიანებს საშუალებას აძლევს, საკუთარ თავთან და სხვებთან ემოციური, სოციალური და პოლიტიკური კავშირი დაამყარონ. მისი გავლენა განსაკუთრებით ძლიერია იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოებები ცვლილებებს განიცდიან და ძველი იდენტობის სტრუქტურები ეჭვქვეშ დგება. 1960-იან წლებში, როცა დასავლური სამყარო სოციალურ და პოლიტიკურ გარდატეხებს გადიოდა, მუსიკა იქცა კულტურული ცვლილებების მთავარ მაუწყებლად. ტია დენორა (DeNora, 2000) თავის ნაშრომში "Music in Everyday Life" ამტკიცებს, რომ მუსიკა მოქმედებს როგორც "იდენტობის ტექნოლოგია" – ის ქმნის და არეგულირებს ადამიანის ემოციურ და სოციალური თვითაღქმას. მისი კვლევის მიხედვით, მუსიკას შეუძლია, ინდივიდებს აჩვენოს ახალი ცხოვრებისეული პერსპექტივები და ხელი შეუწყოს თვითგამოხატვისა და იდენტობის ფორმირების პროცესს. მუსიკა ხშირად განიხილება, როგორც სოციალური გარემოს ნაწილი, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, საკუთარი პიროვნული ან კოლექტიური თვითშეგნების გააქტიურება მოახდინონ. ეს განსაკუთრებით შესაძენეია 1960-იან წლებში, როდესაც როც მუსიკა ახალგაზრდა თაობისთვის იქცა არა მხოლოდ ესთეტიკურ გამოცდილებად, არამედ სოციალური კოდის ნაწილად, რომელიც მათ საერთო ღირებულებებს და მიზნებს უკავშირებდა.

მუსიკის კულტურულ და სოციალურ იდენტობებზე ზეგავლენას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საიმონ ფრიტმა (Frith, 1996) თავის ნაშრომში "Performing Rites: On the Value of Popular Music". მისი აზრით, მუსიკა არ

არის მხოლოდ გართობის საშუალება, არამედ ის "ცოცხალი გამოცდილების" ნაწილი ხდება, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, საკუთარი სოციალური სტატუსი, შეხედულებები და ემოციები მუსიკალური ენის მეშვეობით გამოხატონ. ფრითი აღნიშნავს, რომ მუსიკა ქმნის იდენტობის განმსაზღვრელ ნარატივებს და ამ პროცესში აერთიანებს ადამიანებს საერთო კულტურულ და სოციალურ სივრცეში. 1960-იანი წლების როკ მუსიკა სწორედ ასეთ პლატფორმას წარმოადგენდა, სადაც ახალგაზრდობა თავს უკავშირებდა ჰიპი მოძრაობის იდეალებს, ანტი-მილიტარისტულ განწყობებს და თავისუფლების ფუნდამენტურ მოთხოვნებს.

ჟაკ ატალი (Attali, 1985) თავის ნაშრომში "Noise: The Political Economy of Music" აღნიშნავს, რომ მუსიკა ყოველთვის ასრულებდა გარკვეულ პროგნოსტიკულ ფუნქციას და წინასწარ ასახავდა სოციალურ ცვლილებებს. მისი მოსაზრებით, მუსიკა ხშირად იქცევა კულტურული გარდაქმნების "ხმაურად", რომელიც იმავდროულად გამოხატავს არსებული სისტემის კრიზისს და ახალი იდენტობის ფორმირების საწყის ეტაპს. 1960-იან წლებში, როცა ახალგაზრდობა თავს იმეორებდა მუსიკის საშუალებით, ეს იყო ნიშანი იმისა, რომ დასავლური საზოგადოება სერიოზულ გარდაქმნებს განიცდიდა – როგორც გენდერულ და რასობრივ, ისე პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეზე.

გლობალიზაციის პროცესმა მუსიკას შესაძლებლობა მისცა, კონკრეტული ნაციონალური თუ სუბკულტურული ჩარჩოებიდან გასულიყო და გლობალური კულტურული პროდუქტის სახე მიეღო. 1960-იანი წლების ამერიკული როკ მუსიკა ერთ-ერთი პირველი მასშტაბური მუსიკალური ტალღა იყო, რომელმაც საზღვრებს გადააბიჯა და საერთაშორისო იდენტობების ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. მუსიკის გლობალური გავრცელება იმავე პერიოდიდან დაიწყო, როდესაც ტექნოლოგიური პროგრესი, მასობრივი კომუნიკაციის განვითარება და კულტურათაშორისი ურთიერთობები ახალი დინამიკით ხასიათდებოდა. ტონი ბენეტი (Bennett, 1993) თავის ნაშრომში "Popular Music and Youth Culture" განიხილავს, თუ როგორ ხდება მუსიკის გლობალიზაცია და როგორ ცვლის იგი ლოკალურ

კულტურებს. მისი აზრით, პოპულარული მუსიკა არა მხოლოდ ვრცელდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალებში, არამედ ადგილობრივი კულტურების შერწყმისა და გარდაქმნის პროცესშიც მონაწილეობს. 1960-იანი წლების როკ მუსიკის შემთხვევაში, ის იქცა არა მხოლოდ ამერიკული ახალგაზრდობის პროტესტისა და თვითგამოხატვის ინსტრუმენტად, არამედ საერთაშორისო სიმბოლოდ, რომელიც მთელ მსოფლიოში ანალოგიური სოციალური და პოლიტიკური იდენტობების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

ამერიკული როკ მუსიკა და ჰიპი მოძრაობის იდეალები განსაკუთრებით ძლიერად აისახა ევროპასა და სხვა კონტინენტებზე. მაგალითად, ბრიტანეთში The Beatles, The Rolling Stones და Pink Floyd უკვე 1960-იანი წლების შუა პერიოდისთვის აქტიურად იყენებდნენ ამერიკული როკის გავლენას, მაგრამ მასში ლოკალურ მუსიკალურ და სოციალურ ტენდენციებსაც რთავდნენ, რითაც განსხვავებული კულტურული პროდუქტი შეიქმნა. მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა დასავლეთ გერმანიაში, სადაც როკ მუსიკა ახალგაზრდული წინააღმდეგობის სიმბოლო გახდა, საბჭოთა კავშირში კი ის აკრძალული ხელოვნების ერთ-ერთ ფორმად იქცა, რომელსაც ხელისუფლება პოლიტიკური დისიდენტობის ინსტრუმენტად აღიქვამდა.

სიმონ ფრიტი (Frith, 2001) აღნიშნავს, რომ მუსიკის გლობალიზაციის პროცესი ყოველთვის ორმხრივია – ერთი მხრივ, საერთაშორისო პოპულარული მუსიკა ვრცელდება ადგილობრივ საზოგადოებებში, მაგრამ, მეორე მხრივ, ადგილობრივი კულტურები მას საკუთარი სპეციფიური მახასიათებლებით ამდიდრებენ. ამგვარად, 1960-იანი წლების როკ მუსიკის გავლენა მხოლოდ ამერიკის საზღვრებში არ დარჩენილა. ევროპაში მან ხელი შეუწყო ალტერნატიული ცხოვრების სტილის, ჰიპი კულტურისა და ანტისაომარი პროტესტის გაძლიერებას, ხოლო აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში მან ჩამოაყალიბა საპირისპირო იდენტობები, სადაც როკ მუსიკა სისტემის წინააღმდეგ მიმართული სუბვერსიული აქტის მნიშვნელობას იძენდა.

მუსიკის გავლენა იდენტობის ფორმირებაზე მრავალმხრივია და სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული ფორმებით ვლინდება. ერთის მხრივ, ის წარმოადგენს ინდივიდუალური თვითგამოხატვის ინსტრუმენტს, რომელიც ადამიანებს აძლევს საშუალებას, საკუთარი ემოციები, შეხედულებები და სოციალური გამოცდილება მუსიკალური ნარატივის საშუალებით გადმოსცენ. მეორეს მხრივ, მუსიკა ქმნის კოლექტიურ იდენტობებს, რომელთა საფუძველზეც ჯგუფები თავიანთ კუთვნილებას განსაზღვრავენ და აყალიბებენ საერთო ღირებულებებსა და მემკვიდრეობას. 1960-იანი წლების როკ მუსიკის შემთხვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს იყო პერიოდი, როდესაც მუსიკა არა მხოლოდ რეალობის ასახვის საშუალება გახდა, არამედ თავად მონაწილეობდა ამ რეალობის ჩამოყალიბებაში. როგორც დენორა (DeNora, 2000) აღნიშნავს, მუსიკა არ არის მხოლოდ გარემო, რომელშიც იდენტობა ყალიბდება, არამედ ის აქტიურად მონაწილეობს ამ პროცესში, ემოციური და სოციალური აღქმის მოდელირებით. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1960-იანი წლების როკ მუსიკა ახალგაზრდებისთვის იქცა ახალი კულტურული და პოლიტიკური თვითგამოხატვის საშუალებად, რომელიც არსებობდა როგორც სუბიექტური გამოცდილების ნაწილი, ასევე კოლექტიური იდეოლოგიის გასამყარებლად. ამ პროცესში მუსიკის როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კონკრეტულ სოციალურ და კულტურულ ჯგუფებში გავრცელებით. როგორც ბენეტი (Bennett, 1993) აღნიშნავს, მუსიკა გლობალური ცირკულაციის მექანიზმის ნაწილია და მისი გავლენა ლოკალურ კულტურებზე შეიძლება იყოს როგორც ასიმილაციური, ისე გარდამქმნელი. ამერიკული როკ მუსიკის მაგალითზე ჩანს, როგორ შეიძლება მუსიკამ გადააბიჯოს ეროვნულ და კულტურულ საზღვრებს და მოერგოს ახალ სოციალურ კონტექსტებს, ამავდროულად შექმნას ახალი კულტურული სინთეზები. ბრიტანულმა როკ სცენამ ამერიკული როკ-ენ-როლის გავლენის საფუძველზე ახალი ჟღერადობისა და სოციალური ნარატივების შექმნა შეძლო, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში როკ მუსიკა პოლიტიკური წინააღმდეგობის იარაღად იქცა.

ამგვარად, მუსიკა არ არის მხოლოდ პასიური არტისტული გამოხატულება – ის აქტიურად მონაწილეობს კულტურის შექმნასა და გადამუშავებაში. ფრითის (Frith, 1996) თქმით, მუსიკა გვიჩვენებს, როგორ შეუძლიათ ადამიანებს იდენტობის განსაზღვრა მუსიკალური გამოცდილების მეშვეობით. სწორედ ამიტომ, 1960-იანი წლების როკ მუსიკა არა მხოლოდ სოციალური ცვლილებების შედეგი იყო, არამედ თავად ამ ცვლილებების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა. მისი მეშვეობით ჩამოყალიბდა ახალი კულტურული იდენტობები, რომლებიც გაერთიანებული იყო საერთო ღირებულებების გარშემო – თავისუფლების, პროტესტის, სიყვარულისა და სოციალური თანასწორობის იდეალებით. ეს იდეალები კი, გლობალიზაციის პროცესში, მთელ მსოფლიოში გავრცელდა და სხვადასხვა სოციალურ კონტექსტებში ახალი მნიშვნელობებიც შეიძინა. საბოლოოდ, მუსიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალური დინამიკის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მექანიზმი, რომელიც არა მხოლოდ ასახავს რეალობას, არამედ გარდაქმნის მას და აყალიბებს ახალ კულტურულ და იდენტობის ნარატივებს. 1960-იანი წლების როკ მუსიკა ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, რადგან მან მოახდინა იდენტობის ახალი ფორმების გენერირება და კულტურულ სივრცეში არსებული სტრუქტურების გადალახვა, რაც მას არა მხოლოდ მუსიკალური, არამედ სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენად აქცევს.

თავი II:

1960-იანი წლების როკ მუსიკის თემები, ჰიპები და იდენტობის კონსტრუქცია

1960-იანი წლების ჰიპი მოძრაობა არ წარმოადგენდა მხოლოდ ახალგაზრდულ პროტესტს – ეს იყო სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციის ძლიერი ტალღა, რომელიც უარყოფდა ტრადიციულ ღირებულებებს და ახალ იდენტობას ქმნიდა. მოძრაობის გაჩენას რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განაპირობებდა, მათ შორის ვიეტნამის ომი, სამოქალაქო უფლებების მოძრაობა და კონსერვატიული ღირებულებების კრიზისი. ვიეტნამის ომი იყო ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი, რომელმაც ჰიპი მოძრაობა მასშტაბურ ანტისაომარ პროტესტად აქცია. ომი მილიონობით ახალგაზრდა ამერიკელს შეეხო, რადგან 18-დან 25 წლამდე მამაკაცები იძულებულნი იყვნენ სამხედრო სამსახურში გაწვეულიყვნენ. ომის სისასტიკემ და უსამართლობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რის შედეგადაც გაჩნდა

პაციფისტური მოძრაობა, რომლის ლოზუნგი – "Make Love, Not War" – ჰიპების იდეოლოგიის მთავარ ნარატივად იქცა (Roszak, 1969).

სამოქალაქო უფლებების მოძრაობამ ასევე დიდი გავლენა მოახდინა ჰიპებზე. ისინი იზიარებდნენ სოციალური თანასწორობის იდეას, მხარს უჭერდნენ რასობრივ და გენდერულ თავისუფლებას და უარყოფდნენ დისკრიმინაციის ყველა ფორმას. ამ პროცესში გავლენიან ფიგურებს შორის იყვნენ მარტინ ლუთერ კინგი, მალკოლმ X და სხვა სამოქალაქო აქტივისტები, რომლებიც ჰიპი იდეოლოგიასთან ახლოს მყოფ ღირებულებებს ავითარებდნენ. ამავე დროს, 1950-იანი წლების "American Dream" სულ უფრო კრიზისში შედიოდა. ტრადიციული ბურჟუაზიული ღირებულებები, რომლებიც ოჯახურ სტაბილურობას, კარიერულ წარმატებასა და მატერიალურ კეთილდღეობას ეფუძნებოდა, ახალი თაობისთვის დამაბრკოლებელ ჩარჩოდ იქცა (Bennett, 2001). ჰიპებმა უარყვეს ეს კონსერვატიული მოდელი და დაიწყეს ალტერნატიული ცხოვრების სტილის ძიება, რაც მათ კულტურულ კოდებში აისახა.

ჰიპების იდენტობა რამდენიმე ძირითად პრინციპს ეფუძნებოდა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ანტიმილიტარიზმი, სულიერება, ნარკოტიკების გამოყენება, კოლექტიური ცხოვრება და თავისუფალი სიყვარული. ანტიმილიტარიზმი მათი კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ მშვიდობიან პროტესტებში, როგორიც იყო "The Summer of Love" (1967) და "Moratorium to End the War in Vietnam" (1969) (Anderson, 1995). მათი იდეოლოგიური საფუძველი ემყარებოდა განდისა და მარტინ ლუთერ კინგის არაძალადობრივი ბრძოლის პრინციპებს. ჰიპებმა უარყვეს ტრადიციული დასავლური რელიგია და დაინტერესდნენ აღმოსავლური სულიერებით, განსაკუთრებით ბუდიზმით, ჰინდუიზმითა და იოგით. მათი ფილოსოფიის ნაწილად იქცა შინაგანი ჰარმონიისა და სამყაროსთან კავშირის ძიება, რასაც ხელს უწყობდა მედიტაცია და ალტერნატიული რელიგიური პრაქტიკები (Tipton, 1982). ამ ტენდენციას სათავე დაუდო The Beatles-ის თანამშრომლობამ მაჰარიში მაჰეშ

იოგისთან, რამაც ინდური ფილოსოფიისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააღრმავა (MacDonald, 1994).

ჰიპებისთვის იდენტობის ფორმირება მხოლოდ პირად გამოცდილებაზე არ იყო დაფუძნებული – მათთვის მნიშვნელოვანი იყო კოლექტიური ცხოვრებაც, რაც კომუნებში და მასშტაბურ მუსიკალურ ფესტივალებში გამოიხატებოდა. ვუდსტოკის ფესტივალი (1969) ამ იდეის საუკეთესო მაგალითია – ეს იყო სამდღიანი მუსიკალური და სოციალური მოვლენა, რომელიც ჰიპი კულტურის კულმინაციად ითვლება. იქ თავმოყრილ 400,000-ზე მეტ ადამიანს მუსიკა აერთიანებდა, რაც მათთვის არამარტო გართობის, არამედ იდენტობის შემადგენელი ნაწილი იყო. ვუდსტოკზე გამოსულმა მუსიკოსებმა – Jimi Hendrix, Janis Joplin, Jefferson Airplane, The Who – თავიანთი მუსიკით ჰიპი იდეოლოგიის მთავარი ღირებულებები გააჟღერეს: თავისუფლება, სიყვარული და ომის უარყოფა. ჰიპების მიერ შექმნილი კომუნები, როგორც იყო Drop City და The Farm, ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის ჰარმონიზაციის სივრცეები გახდა. მათ უარყვეს კერძო საკუთრება, პირადი ფულის საჭიროება და ტრადიციული ბურჟუაზიული ცხოვრების წესი, რაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა კაპიტალისტურ დასავლურ მოდელს (Brown, 2011). მუსიკა ამ კომუნებში ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა – იგი გამოიყენებოდა რიტუალების, მედიტაციის, შრომის და სოციალურ შეკრებათა დროს.

მუსიკალური არტისტები, რომლებიც უშუალოდ ჰიპი მოძრაობასთან იყვნენ დაკავშირებულნი - Grateful Dead – ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ჰიპი ჯგუფი, რომელმაც ფსიქოდელიური როკის და იმპროვიზაციული მუსიკის კონცეფცია დაამკვიდრა. მათი კონცერტები არა მხოლოდ მუსიკალური გამოცდილება იყო, არამედ სულიერი და სოციალური აქტის სახეს იღებდა, სადაც მსმენელები მუსიკას არა როგორც პროდუქტს, არამედ როგორც ცხოვრების სტილს აღიქვამდნენ. Jefferson Airplane – ჯგუფი, რომელმაც 1967 წლის ალბომით Surrealistic Pillow ჰიპი თაობის მთავარი მუსიკალური სიმბოლო შექმნა. მათი ყველაზე ცნობილი სიმღერა "Somebody to Love" ჰიპი მოძრაობის სიყვარულისა და თავისუფლების იდეალებს უკავშირდება.

The Byrds – ჯგუფი, რომელმაც ფოლკ როკისა და ფსიქოდელიური მუსიკის სინთეზი შექმნა, განსაკუთრებით ცნობილია ბობ დილანის სიმღერების ფსიქოდელიურ ინტერპრეტაციებში. "Turn! Turn! Turn!" და "Eight Miles High" იმდროინდელი ჰიპი ფილოსოფიის გამოხატულებაა (Doggett, 2007). ამ არტისტებმა არა მხოლოდ მუსიკალური ჟანრები შეცვალეს, არამედ ჰიპი იდენტობის და ცხოვრების სტილის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მათი კონცერტები, ტექსტები და იმიჯი ქმნიდა იმ კულტურულ ჩარჩოს, რომელიც ჰიპებისთვის სოციალური და პოლიტიკური პროტესტის გამოხატულება იყო.

2.1. იდენტობის ფორმირება როკ მუსიკაში

1960-იანი წლების როკ მუსიკა არა მხოლოდ ესთეტიკური ჟანრი იყო, არამედ ძლიერი სოციალური და პოლიტიკური მექანიზმიც, რომელიც ახალი იდენტობების ფორმირებას უწყობდა ხელს. მუსიკოსები თავიანთი ტექსტებით, იმიჯითა და მუსიკალური ექსპერიმენტებით ახდენდნენ იმდროინდელი პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ღირებულებების დეკონსტრუქციას, რაც მათ მსმენელებს არსებული სისტემის მიმართ კრიტიკულად განაწყობდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო როკის როლი პოლიტიკური იდენტობის კონსტრუქციაში – ის იქცა პროტესტისა და პოლიტიკური თვითგამოხატვის მთავარ იარაღად, რომელიც ექვექვემ აყენებდა ამერიკის მთავრობის პოლიტიკას, ომებს, ჩაგვრასა და ინსტიტუციურ ძალაუფლებას (Street, 2012). ვიეტნამის ომის წინააღმდეგობამ და სამოქალაქო უფლებების მოძრაობამ პოლიტიკურად გააქტიურა მრავალი როკ მუსიკოსი, რომლებიც თავიანთი სიმღერებითა და პერფორმანსებით მთავრობას აკრიტიკებდნენ და ალტერნატიულ იდეოლოგიურ პლატფორმებს ქმნიდნენ. ამ მხრივ, ბობ დილანი, The Doors და Creedence Clearwater Revival მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, რადგან მათი ტექსტები და მუსიკა პირდაპირ ასახავდა 1960-იანი წლების პოლიტიკური კრიზისის, ომის, ჩაგვრისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას.

Creedence Clearwater Revival (CCR) ამერიკული როკ სცენის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ხმა გახდა, განსაკუთრებით ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ფარგლებში. განსხვავებით ბობ დილანის პოეტური ტექსტებისა და The Doors-ის ფსიქოდელიური ხედვისგან, CCR-ის მუსიკა პირდაპირ ასახავდა მუშათა კლასის აღქმას ომისა და სოციალური უსამართლობის შესახებ (Weisbard, 2004). "Fortunate Son" (1969) CCR-ის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროტესტული სიმღერაა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ვიეტნამის ომში გაწვევის სოციალურ უსამართლობას. ტექსტში ხაზგასმულია, რომ ომში საბრძოლველად ძირითადად ღარიბი და მუშათა კლასის ახალგაზრდები მიდიოდნენ, მაშინ როცა პოლიტიკური და ფინანსური ელიტის შვილები თავს არიდებდნენ ამ პროცესს: "It ain't me, it ain't me, I ain't no senator's son, son. It ain't me, it ain't me, I ain't no fortunate one, no." ეს სიმღერა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მუშათა კლასის ახალგაზრდების პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში, რადგან ისინი ხვდებოდნენ, რომ ომი კლასობრივი უსამართლობის ერთ-ერთი მთავარი გამოვლინება იყო (McMillian, 2011).

მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ 1960-იანი წლების როკ მუსიკა მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური პროტესტის პლატფორმა არ ყოფილა – მან ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გენდერული იდენტობის გადაფასებაზე. ტრადიციულად, როკ სცენა და მუსიკალური ინდუსტრია მთლიანად დომინირებული იყო მამაკაცებით, ხოლო ქალებს, როგორც წესი, პასიური როლები ეკავათ – ისინი ან მსმენელები იყვნენ, ან პოპ-მუსიკის შთამბეჭდავ, მაგრამ კონტროლირებულ პერსონაჟებად გვევლინებოდნენ (Weinstein, 1991). თუმცა, 1960-70-იან წლებში გაჩნდა ქალ მუსიკოსთა თაობა, რომელმაც არა მხოლოდ შეაღწია ამ სფეროში, არამედ გააფართოვა გენდერული ნორმების აღქმა, უარყო ტრადიციული ქალურობის იდეალები და მუსიკის მეშვეობით ახალი, დამოუკიდებელი ქალი როკ პერსონაჟი შექმნა.

გრეის სლიკი, Jefferson Airplane-ის სოლისტი, იმ ერთეულ ქალ მუსიკოსთა შორის იყო, ვინც როკ სცენაზე დამოუკიდებელ, ძლიერ ქალად გამოჩნდა. მისი სცენური მანერა და მკვეთრი, ავტორიტეტული ხმა ტრადიციულ ქალურობას არ შეესაბამებოდა – ის აგრესიული, უშიშარი და თამამი იყო, რაც იმდროინდელ საზოგადოებაში ქალებისთვის უჩვეულო თვისებად მიიჩნეოდა (Spitz, 1999).

მისი სიმღერები, როგორიცაა "Somebody to Love" და "White Rabbit", პირდაპირ ეხებოდა ნარკოტიკების გავლენას, ცნობიერების გაფართოებასა და სოციალური რევოლუციის აუცილებლობას. ის ხშირად აკეთებდა საჯარო განცხადებებს გენდერული თავისუფლების და ტრადიციული როლების წინააღმდეგ. მაგალითად, მან არაერთხელ აღნიშნა, რომ ქალები უნდა გათავისუფლებულიყვნენ ოჯახური ცხოვრებისგან, სექსუალური რეპრესიისგან და მოეთხოვათ ისეთივე თავისუფლება, როგორსაც მამაკაცები ფლობდნენ. სლიკის პერსონა 1960-იანი წლების ჰიპი კულტურის ნაწილად იქცა. ის იყო ქალი, რომელიც არ ცდილობდა მომხიბვლელობისა და დამთმობლობის მიღწევას, არამედ საკუთარ ხმას და იდეებს სერიოზულ პოლიტიკურ და კულტურულ დისკუსიებში რთავდა.

თუ ჯენის ჯოპლინმა და გრეის სლიკმა 1960-იან წლებში გენდერული როლების დანგრევას დაიწყეს, 1970-იან წლებში The Runaways-მა ეს პროცესი უფრო გააღრმავა. The Runaways პირველი მთლიანად ქალი როკ ბენდი იყო, რომელიც მამაკაცებისგან დომინირებულ ჰარდ-როკ და პანკ მუსიკაში შეიჭრა. ჯოან ჯეტი (Joan Jett), ლიტა ფორდი (Lita Ford) და ჩერი კარი (Cherie Currie) არ იყვნენ „ქალური“ მუსიკოსები ტრადიციული გაგებით – ისინი დამაჯერებლად და უხეშად უკრავდნენ გიტარაზე, ატარებდნენ ტყავის სამოსს და მათ ტექსტებში ისმოდა სექსუალური თავისუფლების, კონტროლისა და ავტონომიის მოთხოვნები (Weinstein, 1991). The Runaways-ის ყველაზე ცნობილი სიმღერები, "Cherry Bomb" და "Queens of Noise", ღიად გამოხატავდნენ ქალი როკ მუსიკოსების გაძლიერებას და ტრადიციული მუსიკალური სამყაროს ეწინააღმდეგებოდნენ. "Hello Daddy, Hello Mom, I'm your ch-ch-ch-cherry bomb!" ამ სტრიქონებში ქალის სექსუალობა არა როგორც პასიური

ობიექტი, არამედ როგორც აქტიური ძალა იყო წარმოდგენილი. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებას წარმოადგენდა იმ ეპოქისთვის, სადაც ქალებს მუსიკაში ხშირად მხოლოდ „მუზის“ ან მეორეხარისხოვანი პერსონაჟის როლს აძლევდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ როკ-ენ-როლი აფროამერიკული ბლუზისა და რიტმ-ენდ-ბლუზის (R&B) საფუძველზე განვითარდა, 1950-60-იან წლებში ეს ჟანრი თითქმის მთლიანად თეთრკანიან მუსიკოსთა დომინანციაში აღმოჩნდა. თუმცა, 1960-70-იან წლებში გამოჩნდა რამდენიმე გამორჩეული აფროამერიკელი არტისტი, რომლებიც დამკვიდრდნენ როკ სცენაზე, შეცვალეს მისი მიმართულება და ახალი, მრავალფეროვანი მუსიკალური იდენტობა ჩამოაყალიბეს. ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა Sly and the Family Stone იყო – ჯგუფი, რომელმაც არა მხოლოდ როკ მუსიკაში შეიტანა ძლიერი აფროამერიკული ელემენტები, არამედ მულტირასობრივი იდენტობის, სოციალური თანასწორობისა და რასობრივი ბარიერების დაძლევის იდეები გაავრცელა (Vincent, 1996).

როკ-ენ-როლის ფესვები პირდაპირ დაკავშირებულია აფროამერიკულ ბლუზთან, გოსპელთან და R&B-სთან. Chuck Berry, Little Richard და Fats Domino იყვნენ ის მუსიკოსები, რომლებმაც 1950-იან წლებში როკ მუსიკის საფუძველი შექმნეს. თუმცა, როდესაც ჟანრი კომერციულად წარმატებული გახდა, მუსიკალური ინდუსტრია ძირითადად თეთრკანიან არტისტებზე გადაერთო. მაგალითად, ელვის პრესლი, The Beatles და The Rolling Stones ხშირად აფროამერიკელი მუსიკოსების გავლენით წერდნენ და ასრულებდნენ სიმღერებს, მაგრამ ისინი უფრო დიდი კომერციული წარმატების მიღწევას ახერხებდნენ (Ward, 1998). 1960-იან წლებში, სამოქალაქო უფლებების მოძრაობის ზრდასთან ერთად, მუსიკაშიც დაიწყო რასობრივი იდენტობის ცვლილება. აფროამერიკელი მუსიკოსები ცდილობდნენ, თავიანთი ხმა არა მხოლოდ სოულსა და R&B-ში, არამედ როკ მუსიკაშიც გაემყარებინათ.

Sly and the Family Stone იყო ერთ-ერთი პირველი სრულად მულტირასობრივი ჯგუფი, რომელმაც 1960-70-იან წლებში კომერციული წარმატება მოიპოვა. მათი

მუსიკა უნიკალურად აერთიანებდა პანკს, სოულს, ფსიქოდელიურ როკს და რიტმ-ენდ-ბლუზს, რაც მათ განსხვავებულ და ორიგინალურ ჟღერადობას სძენდა. ჯგუფის ლიდერი, სლაი სტოუნი (Sly Stone), ღიად უჭერდა მხარს რასობრივ თანასწორობას და თავისი ტექსტებით, სცენური იმიჯითა და ჯგუფის წევრების მრავალფეროვნებით ცდილობდა, მუსიკის მეშვეობით შეეცვალა ამერიკის სოციალური დინამიკა. მისი მუსიკა 1960-იანი წლების ბოლოს როკ სცენაზე მნიშვნელოვანი ფენომენი გახდა, რადგან ის ამტკიცებდა, რომ როკი არ იყო მხოლოდ თეთრკანიანების მუსიკა – ის შეიძლებოდა ყოფილიყო კულტურული შერევის და რასობრივი ბარიერების გადალახვის ინსტრუმენტიც. ჯგუფის სიმღერები ხშირად ეხებოდა სოციალურ სამართლიანობას, რასობრივ ურთიერთობებს და თანასწორობას. მაგალითად, "Everyday People" (1968) პირდაპირ ეხმიანებოდა რასობრივი ჰარმონიის იდეას და ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჰიმნად იქცა, რომელიც სამოქალაქო უფლებების მოძრაობასთან ასოცირდებოდა: "I am no better and neither are you, We are the same whatever we do." ამ სიმღერამ ახალი გზავნილი გაავრცელა: როკი შეიძლება იყოს გაერთიანებისა და სოციალური ცვლილების პლატფორმა, რომელიც არ ემსახურება მხოლოდ ერთ რასას ან კულტურულ ჯგუფს (Neal, 2002).

1960-70-იანი წლების როკ მუსიკა მნიშვნელოვანი სივრცე გახდა, სადაც ახალგაზრდები ცდილობდნენ საკუთარი იდენტობის პოვნას, ცვლილებების პროცესის გააზრებასა და პიროვნული თავისუფლების მიღწევას. ეს მუსიკალური ჟანრი არ იყო მხოლოდ პროტესტისა და სოციალურ-პოლიტიკური აქტივიზმის ინსტრუმენტი, ის ინდივიდუალური და კოლექტიური თვითშეგნების პლატფორმადაც იქცა, სადაც თაობათა კონფლიქტი, სოციალური ნორმების გადაფასება და ცნობიერების გაფართოება მუსიკალური ექსპერიმენტების მეშვეობით გამოიხატა. ამ პერიოდში ახალგაზრდობა ღიად დაუპირისპირდა იმ კონსერვატიულ ღირებულებებს, რომლებსაც მათი მშობლები მისდევდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი თაობა გაიზარდა ეკონომიკური კეთილდღეობის, მაგრამ ერთგვარი სოციო-კულტურული ჩარჩოების პირობებში, რაც მათგან მოითხოვდა

სტაბილურობას, კარიერულ განვითარებასა და ნაციონალური იდენტობისადმი მორჩილებას. თუმცა, 1960-იანი წლების ახალგაზრდები სულ უფრო მეტად ითვისებდნენ ალტერნატიულ ხედვებს, კრიტიკულად უყურებდნენ ტრადიციულ ღირებულებებს და ცდილობდნენ, შეექმნათ ახალი, განსხვავებული კულტურა, რომელიც თავისუფლებისა და ინდივიდუალიზმის იდეებს დაეფუძნებოდა.

ამ კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მუსიკალური მანიფესტი The Who-ს მიერ 1965 წელს შექმნილი "My Generation" იყო. სიმღერის ტექსტი პირდაპირ გამოხატავდა ახალგაზრდების პროტესტს, მათი სურვილის უარყოფას, დამორჩილებოდნენ უფროსი თაობის წესრიგის. ფრაზა "Hope I die before I get old" სიმბოლოდ იქცა იმ აზრისა, რომ მოხუცი მხოლოდ ასაკის გამო არ ხდება – ეს იყო მენტალური და კულტურული მდგომარეობა, რომელიც ძველ ფასეულობებში ჩარჩენას ნიშნავდა. The Who-ს სცენაზე ენერგიული გამოსვლები და ინსტრუმენტების დამსხვრევა პირდაპირ გამოხატავდა წინა თაობის იდეოლოგიის ნგრევისა და ახლის შექმნის სურვილს.

The Rolling Stones-მა მუსიკაში შემოიტანა სოციალური ნორმების დანგრევის სულისკვეთება. მათი სიმღერები ხშირად შეეხებოდა სექსუალური თავისუფლების, ანარქიისა და კონსერვატიული საზოგადოების წინააღმდეგ მიმართული ამბოხის თემებს. "Satisfaction", "Paint It Black" და "Sympathy for the Devil" არა მხოლოდ სოციალურ უკმაყოფილებას გამოხატავდა, არამედ ახალგაზრდების შინაგან კონფლიქტებსაც – სურვილს, ეცხოვრათ თავისუფლად, მაგრამ ამავედროულად, გაწყვეტილი ყოფილიყვნენ იმ სამყაროსგან, რომელიც ამ ცვლილებებს არ იღებდა. მათი მუსიკა ხელს უწყობდა იდენტობის ფორმირებას იმათთვის, ვისაც არ სურდა, ეცხოვრათ საზოგადოებრივი ნორმების ჩარჩოებში და არჩევანი კონფორმიზმსა და თავისუფალ ცხოვრებას შორის უნდა გაეკეთებინათ.

იდენტობის ძიების ერთ-ერთ ყველაზე ღრმა და ინტელექტუალურ გამოხატულებად იქცა Pink Floyd-ის მუსიკა. ჯგუფის ალბომი The Dark Side of the Moon იყო ცხოვრების, დროის, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და საზოგადოებაში

არსებული ჩარჩოების კრიტიკული ანალიზი. სიმღერა "Time" პირდაპირ ეხებოდა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან თემას – როგორ გაივლის დრო ისე, რომ ხშირად ადამიანები ვერ აცნობიერებენ, როგორ ცვლის ის მათ პიროვნულ განვითარებას. "You are young and life is long, And there is time to kill today. And then one day you find Ten years have got behind you." ამ სიტყვებში ასახულია ახალგაზრდა თაობის დაპირისპირება საკუთარ მომავალთან – როგორ უნდა იცხოვრო ისე, რომ არ დაკარგო საკუთარი იდენტობა? მეორე მხრივ, სიმღერა "Wish You Were Here" ეხებოდა ინდივიდუალური იდენტობის დაკარგვას, საზოგადოების მიერ ადამიანის კონტროლს და შინაგან თავისუფლებას. Pink Floyd-ის მუსიკა იქცა იდენტობის ძიების სიმბოლოდ – მათი ტექსტები, ინსტრუმენტული იმპროვიზაციები და ალბომის კონცეფციები ახალგაზრდებს ცხოვრების, აზრის, რეალობის და პიროვნული განვითარების შესახებ ფიქრისკენ უბიძგებდა (Blake, 2008). ამ ყველაფრის ფონზე, როკი გახდა არა მხოლოდ მუსიკალური ჟანრი, არამედ სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეეძლოთ საკუთარი პიროვნული და სოციალური იდენტობის განსაზღვრა. ეს იყო სცენა, სადაც თითოეულ ადამიანს შეეძლო, ესაუბრა საკუთარ შიშებზე, თავისუფლების სურვილზე, ცნობიერების გაფართოებაზე და იმ შინაგან წინააღმდეგობებზე, რომლებიც იმდროინდელ საზოგადოებასა და მის ღირებულებებს უკავშირდებოდა. როკ მუსიკა ამ ეპოქაში იქცა არამარტო სოციალური ცვლილებების კატალიზატორად, არამედ თავისუფლების, თვითშემეცნების და იდენტობის ძიების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად.

თავი III:

არტისტული იდენტობა და მისი მუსიკალური გამოხატვა – ბობ დილანი, ჯიმ მორისონი, ჯიმი ჰენდრიქსი

ბობ დილანი, ჯიმ მორისონი და ჯიმი ჰენდრიქსი იმ არტისტთა რიგებში იყვნენ, რომლებმაც მუსიკის მეშვეობით შექმნეს უნიკალური არტისტული

